

1941

ქართული  
ენობრიობა



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მთავროვის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 25 მარტი

№ 10

თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

52. ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა თაობაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების რეალიზაციის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

- 53. სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლების და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა მიერ კომუნალური აბანოებით სარგებლობის ტარიფის შესახებ.
- 54. საქართველოს სსრ მიწსახეობის ჩაის კანტორების ლიკვიდაციის შესახებ.
- 55. ტოტალიზატორის შემოსავლიდან თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დაბეგრის შესახებ.
- 56. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.
- 57. მთებში მამულ სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ.
- 58. 1941 წელს ექსპედიციაში გაგზავნილ მეცნიერ მუშაკთა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.
- 59. სოფელ ლორეშაში გ. კ. (სერგო) ორჯონიკიძის სახლის შესახებ.



## სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

52. „ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა თაობაზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების რეალიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მთელი რიგი რაიონული და საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ ადგილობრივი მრეწველობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად სრულიად არასაკმაოდ ხდება ადგილობრივი ნედლეული რესურსების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების გამოყენება ფართო მოხმარების საქონლის დასამზადებლად. ფართო მოხმარების საქონლის და სურსათის წარმოება ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. მოწესრიგებული არ არის ყოველდღიური საჭიროების ისეთი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოება როგორცაა: ჟრმები, საზიდავეები, ცულები, წალდები, საცრები, ცოცხები; არასაკმაო რაოდენობით უშვებენ ადგილობრივ სამშენებლო მასალას (აგურს, კრამიტს, კირს, გაჯს და სხვ.), ავრთვე ავეჯს, თიხის, ტრიკოტაჟისა და ქილობის ნაწარმს, საბავშვო სათამაშოებს, საკანცელარიო ნივთებსა და სხვ.

ადგილობრივი ნედლეულის შესაძლებლობათა არსებობის მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებს—თიანეთის, ყაზბეგის, ყარაიას, ჩოხატაურის, გეგეკჯორის, თეთრიწყაროს, ჩხოროწყუის, გუდაუთის, გალის, საგარეჯოს, წყალტუბოს, ბაშკიჩეთის, საჩხერის, ზემო-სვანეთის და ქვემო-სვანეთის რაიონებს სრულიად არ მოუწყვიათ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

სარეწაო კოოპერაციის-სარეწაო საბჭოს ხაზით ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა 1940 წელს შესრულებულია 77,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით სარეწაო კოოპერაციის არტელები და რაიონული მრეწველობის საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ აწყობენ მუშაობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის (ფეხსაცმლის, ავეჯის, საოჯახო საჭიროების საგნების რემონტი, სამკერვალო სახელოსნოები და სხვ.).

იმ მიზნით, რომ ადგილობრივმა მრეწველობამ და სარეწაო კოოპერაციამ გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1941 წლის 9 იანვარს „ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 3, მუხ. 40) მიღებული დადგენილების შესაბამისად,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

## რაიონული და საქალაქო ქვემდებარეობის მრეწველობის ხაზის

1. დამტკიცდეს 1941 წლისათვის ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების დამატებითი დავალება 24,3 მილიონი მანეთის რაოდენობით (გასაცემ ფასებში), რაც განაწილდეს რაიონებისა, ქალაქებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო აღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს:

ა) ამ დადგენილებით მიღებული დამატებითი დავალების შესაბამისად, განიხილონ და დაამტკიცონ ადგილობრივი ნედლეულისა და ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გეგმა ცალკეული საწარმოების მიხედვით;

ბ) ადგილობრივი მრეწველობის ახალი საწარმოების მოწყობასთან ერთად მიიღონ ზომები არსებული საწარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად (მოწყობილობის დროული რემონტი, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და სხვ.).

სისტემატურად იმუშაონ ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოსავლინებლად და ამ რესურსების სავსებით გამოსაყენებლად ფართო-მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასორტიმენტის გაფართოებას და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

3. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს ამხ. სტვილიას, სახბანკის თბილისის კანტორის მმართველს ამხ. გოლეთიანს, სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს ამხ. დავლიანიძეს, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წ. 9 იანვრის დადგენილების შესაბამისად გასცენ დასაბრუნებელი კრედიტები სახელმწიფო ბანკის ხაზით—ერთი წლის ვადით, ხოლო სამრეწველო ბანკის ხაზით—3 წლის ვადით რაიონული, საოლქო მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გასადიდებლად და მოსაწყობად, საწარმოთა შუამდგომლობით—50 ათას მანეთამდე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობით—200 ათას მანეთამდე ერთ საწარმოზე.

4. დაკმაყოფილდეს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების, რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მიეცეს დასაბრუნებელი კრედი-

ტები რაიონული მრეწველობის საწარმოების გასაფართოებლად და მოსაწყობად ისე, რომ აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ში თვითეული საწარმოს ღირებულება შეადგენდეს 200 ათას მანეთზე მეტს და დანარჩენ რაიონებში—50 ათას მანეთზე მეტს, თანახმად დანართისა № 2.

სამრეწველო ბანკის რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ამხ. დავლიანიძემ უზრუნველყო დასაბრუნებელი კრედიტების მიცემა ადგილობრივი მრეწველობის ზემოაღნიშნული საწარმოების მოსაწყობად და გასაფართოებლად.

5. იმის გამო, რომ ქ. მახარაძის აგურის ქარხანას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და ქარხნის პროდუქცია მხოლოდ რაიონის საჭიროებათა დაკმაყოფილებას ხმარდება, დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ორი დეკადის ვადაში გადასცეს მახარაძის რაიონმასკომს ქ. მახარაძეში მღებარე აგურის ქარხანა.

6. დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და გუდაუთის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცეს აფხაზეთის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-საწარმოო კომბინატის შემდეგი საწარმოები: ქ. სოხუმში—ბზის წარმოება, ქიმიური ქარხანა, ფოლპის წარმოება, სათამაშოების წარმოება; ქ. გუდაუთში—ავეჯის სახელოსნო, სამკერვალო წარმოება და ფეხსაცმლის წარმოება.

7. წინადადება მიეცეს წულუკიძის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომს მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ წულუკიძის გრებილი ავეჯის ფაბრიკის მშენებლობის და მონტაჟის დამთავრებას 1941 წლის 1 ივლისამდე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. თარგამაძეს) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სათანადო სახალხო კომისარიატებთან ერთად ერთი თვის ვადაში განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მრეწველობის დაგროვებანი გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის, სამშენებლო მასალებისა და სათბობის დამამზადებელი საწარმოების მოსაწყობად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. წიკლაურს, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალების მრეწველობის მთავარ სამმართველოს—ამხ. ბუხნიკაშვილს ყოველდღიური დახმარება გაუწიონ რაიონულ და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების საქმეში.



### სარეწაო კოოპერაციის ხაზით

1. დაწესდეს სარეწაო კოოპერაციისათვის ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების პროდუქციისა და სურსათის გამოშვების დამატებითი დავალება 1941 წელს 15,5 მილიონი მანეთის რაოდენობით (გასაცემ ფასებში), აქედან სარეწაო საბჭოს ხაზით—7 მილიონი მანეთი, საქკოოპინკავშირის ხაზით—6,5 მილიონი მანეთი, საქსარეწტყეკავშირის ხაზით—2 მილიონი მანეთი, თანახმად დანართისა № 3.

2. დაევალოს სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმს მოაწყოს მატყლის გადამმუშავებელი წვრილი საწარმოები, გადასამუშავებლად მიცემული ნედლეულის საფუძვლებზე (ქეჩის, მაულისა და მატყლის, ქალისა და კაცის წინდების და სხვ. დამზადება), ამ ნედლეულის ჩამბარებელთა—იმ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შეკვეთებით, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩამბარების ვალდებულებანი.

გადასამუშავებლად მიცემული ნედლეულის საფუძვლებზე მატყლის გადამმუშავებელი საწარმოები პირველ რიგში მოეწყოს იმ რაიონებში, სადაც მატყლის სასაქონლო პროდუქციის ყველაზე მეტი გამოსავალი გვაქვს (სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, დუშეთისა და თიანეთის რაიონებში).

3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს სარეწაო საბჭოს, საქკოოპინკავშირის და საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმებს:

ა) მოაწყონ ძველი ნახმარი ფეხსაცმლის შესყიდვა და რესტავრაცია. დაწესდეს 1941 წლისათვის რესტავრირებული ფეხსაცმლის გამოშვებისა და გაყიდვის დავალება სარეწაო საბჭოს სისტემის ხაზით—150 ათასი წყვილი, აქედან ქალაქ თბილისში—100 ათასი წყვილი, კოოპინკავშირის სისტემის ხაზით—100 ათასი წყვილი, აქედან თბილისში—50 ათასი წყვილი;

ბ) 1941 წლის 1 ივლისამდე მოაწყონ დამატებით ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ავეჯის, ტანისამოსისა და სხვ. შემკეთებელი 87 სახელოსნო, აქედან სარეწაო საბჭოს ხაზით—50, კოოპინკავშირის ხაზით—34 და საქსარეწტყეკავშირის ხაზით—3;

გ) დაევალოს საქსარეწტყეკავშირს — ამხ. ჯებაშვილს მოაწყოს ავეჯის რემონტი შემკეთებელთა სახლებში.

### სავაჭრო ორგანიზაციათა სისტემის ხაზით

1. დაწესდეს 1941 წლისათვის ღორების გასუქების გეგმა 6.000 სულის რაოდენობით, რაც განაწილდეს სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით, თანახმად დანართისა № 4.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, კეკავშირის პრეზიდიუმს, „ტრანსტორგპიტს“, „ზოლოტოპროდსნაბს“ და „ლესპროდტორგს“ ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ ღორის გასასუქებელ მეურნეობათა მოწყობა.



მზრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო და სარაიონო კომიტეტებმა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სავაჭრო ორგანიზაციებს ღორის გასასუქებელ მეურნეობათა მოწყობის საქმეში.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სავაჭრო ორგანიზაციათა მიერ ღორის გასუქების გეგმის შესრულება:

ა) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. წიკლაურმა ლუდის ქარხნების ნარჩენები (გარდა იმ რაოდენობისა, რაც საკუთარ საჭიროებას უნდა მოხმარდეს), გადასცეს სავაჭრო ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განრიგების მიხედვით;

ბ) სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში ამხ. კეცხოველმა გამოუყოს სავაჭრო ორგანიზაციებსა და რაიონებს „ზაგოტხერნოს“ ბაზებში არსებული ნარჩენები ღორისა და ფრინველის გასასუქებლად.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით ტყის ხილისა და კენკრის დამზადების გეგმა 1941 წლისათვის 780 ტონის რაოდენობით, აქედან:

|  |          |
|--|----------|
| ა) თბილხილბოსტანვაჭრობისათვის . . . . .    | 400 ტონა |
| ბ) საქვაჭრობისათვის . . . . .              | 30 "     |
| გ) აფხაზვაჭრობისათვის . . . . .            | 160 "    |
| დ) აჭარავაჭრობისათვის . . . . .            | 5 "      |
| ე) ბათუმის „ტრანსტორგპიტისათვის“ . . . . . | 5 "      |
| ვ) სამხვაჭრობისათვის . . . . .             | 150 "    |
| ზ) კურორტვაჭრობისათვის . . . . .           | 5 "      |

4. დაწესდეს თბილისის საზღვების ტრესტის ხაზით ბოსტნეულის გადამუშავებისა და დამყავების გეგმა 1941 წლისათვის 650 ტონის რაოდენობით.

5. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში—ამხ. კეცხოველს:

ა) ერთი დეკადის ვადაში გამოჰყოს სავაჭრო ორგანიზაციებისა, სარეწაო კოოპერაციისა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისა და ცეკავშირისათვის ხილისა და ბოსტნეულის, ტყის ხილისა და კენკრის დამზადების რაიონები 1941 წლისათვის;

ბ) დაუშვას თბილხილბოსტანვაჭრობა, საქვაჭრობა და ცეკავშირი ღვინის დასამზადებლად იმ რაიონებში, სადაც დამზადებას არ ეწევიან ძირითადი დამამზადებლები;

გ) უფლება მისცეს ცეკავშირს, საქვაჭრობას, თბილხილბოსტანვაჭრობას აწარმოონ არახისის, თხილისა და კაკლის შესყიდვა იმ რაიონებში, რომლებმაც შეასრულეს ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების გეგმა.

6. დაწესდეს 1941 წლისათვის ცეკავშირის სისტემის ხაზით ფრინველის წვრილფეხა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებისა და გასუქების გეგმა:

- |  |            |
|--|------------|
| ა) შინაური ფრინველი . . . . .          | 8.000 ფრთა |
| ბ) მეწველი ძროხა . . . . .             | 45 სული    |
| გ) წვრილფეხა რქიანი პირუტყვი . . . . . | 1.500 სული |

დაწესდეს ცეკავშირის სისტემის ხაზით ადგილობრივ წყალსატევებში თევზის ჭერის გეგმა—150 ტონის რაოდენობით.

7. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმს გადაიღოს 1941 წლისათვის ხილის გადამმუშავებელი საწარმოების პროდუქციის გამოშვება 2.854 ტონამდე, ნაცვლად 1940 წელს ფაქტიურად გამოშვებული 872 ტონისა.

დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს (ამხ. მაკავარიანს) გასასუქებლად დააყენოს 1941 წელს 540 ღორი (დასასვენებელ სახლებთან, სანატორიუმებთან, საავადმყოფოებთან და საბავშვო დაწესებულებებთან), აქედან საქართველოს საკურორტო სამმართველოს სისტემის ხაზით—100 სული, სპეც. სამკურნალო-სასანატორო სამმართველოს ხაზით—50 სული და ჯანსახკომის დანარჩენ დაწესებულებათა ხაზით—390 სული.

#### ფართო მოხმარების საამქროებისა და ნარჩენების გამოყენების ხაზით

1. დაწესდეს, რომ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური ქვემდებარების საწარმოებში მიღებულ მთელ ნარჩენებს (ნარჩენების იმ ნაწილის გარდა, რაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით ნაწილდება), ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს შორის გაანაწილებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ორი დეკადის ვადაში გამოავლინოს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური ქვემდებარების საწარმოებში არსებული ნარჩენების რაოდენობა და ნარჩენების განაწილების პროექტი დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

3. დაევალოს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური საწარმოების ხელმძღვანელებს ყოველკვარტალურად წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ცნობები სამრეწველო ნარჩენების არსებული რაოდენობის შესახებ.

4. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისათვის წარმოების ნარჩენების გადაცემასთან დაკავშირებით, დაევალოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხაძეს ლიკვიდაცია უყოს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან არსებულ აბრეშუმის ნაჭრების გადამმუშავებელ საამქროს და არაკონდიციური ყაჭის გადამუშავება დასტოვოს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფართო მოხმარების საამქროსთან.

5. იმის გამო, რომ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების ლითონის ნარჩენებით მომარაგების გაუმჯობესება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია შავი და ფერადი ლითონების ნამტვრევის შეგროვების გეგმების შესრულებაზე, წინადადება მიეცეს რაიონული და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს შემოწმონ შავი და ფერადი ლითონის ნამტვრევის შეგროვების მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი რომლებიც უზრუნველყოფენ ლითონის ნამტვრევის შეგროვების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

6. ნება დაერთოს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ გეგმები ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მიერ ნარჩენებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან გამომუშავებული პროდუქციის გამოყენებისა მთლიანად, ხოლო სახელმწიფო არადეფიციტური ნედლეულისაგან გამომუშავებული პროდუქციის გამოყენებისა—50% (იმ სიის მიხედვით, რასაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭო დაამტკიცებს).


7. ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების საწარმოო დავალებათა შესამუშავებლად, ნარჩენების აღრიცხვისა და განაწილების მოსაგვარებლად, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მიერ გამოშვებული ფართო მოხმარების საქონლის ფასშექმნის შესამოწმებლად და კონდიციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოეწყოს რაიონული მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განყოფილება 5 კაცის შემადგენლობით, რის გამო გადიდდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა შტატი 5 ერთეულით.

8. წინადადება მიეცეს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს დასახონ საჭირო ღონისძიებანი ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის და ამ დადგენილების განსახორციელებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ 20 მარტისათვის წარმოუდგინონ ანგარიში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო შემდეგში ყოველკვარტალურად წარმოადგინონ ანგარიშები ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე  
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი  
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 1 მარტი. № 290.  
თბილისი.





## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

53. სახელოსნო, რკინიგზის სახწავლებლების და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა მიერ კომუნალური აბანოებით სარგებლობის ტარიფის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 თებერვლის № 781—184 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელოსნო, რკინიგზის სსწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა მიერ კომუნალური აბანოებით სარგებლობის ტარიფი 20 კაპეიკის რაოდენობით კაცზე (ჯგუფური ბანაობის დროს).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 19 თებერვალი. № 230.  
თბილისი.

54. საქართველოს სსრ მიწსახკომის ჩაის კანტორების ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნეს 1941 წლის 1 მარტიდან საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ჩაის კანტორები ბათუმის, ჩოხატაურის, ტყიბულისა და ჩხოროწყუს რაიონებში, ამასთან აღნიშნული კანტორების ფუნქციები აგრომომსახურების დარგში, აგრეთვე როგორც კანტორების ისე საუბნო ქსელის სპეციალისტები გადაეცეს სათანადო რაიონების რაიმიწვანებს.

2. ქონება, სასაქონლო მატერიალური ღირებულებანი, აგრეთვე სხვა აქტივები და პასივები გადაეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის ორგანიზაციებს 1941 წლის 1 თებერვლისათვის არსებული ბალანსის მიხედვით.

3. სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები, რომლებიც ჩაის კანტორების აპარატიდან განთავისუფლდებიან, გამოყენებულ იქნან იმავე რაიონებში აგროქსელის სპეციალისტთა იმ შტატის დასაკომპლექტებლად, რაც დამტკიცებულია რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების მიერ 1941 წლისათვის რაიმიწვანის აპარატისათვის და აგრეთვე კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 23 თებერვალი. № 260.  
თბილისი.

**55. ტოტალიზატორის შემოსავლიდან თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დაბეგვრის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „ადგილობრივი გადასახადების და გამოსაღებების გამოანგარიშების გადახდევინების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 8 მაისის დადგენილების 33 მუხ. პუნქტები „ზ“ და „თ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 41) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ზ“ რბენა და დოღი ტოტალიზატორით . . . . . 25%

„თ“ რბენა და დოღი უტოტალიზატოროდ . . . . . 15%

2. მუხ. 33 დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა. გამოსაღები თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ტოტალიზატორით თამაშში მონაწილე პირებს გადახდებათ დაწესებული საფასურის პროცენტული დანამატის სახით, ამ საფასურის 5% რაოდენობით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 4 მარტი, № 296.  
თბილისი.

**56. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებების სპეციალური სახსრების ნუსხას (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 30, მუხ. 176; 1937 წ. № 4, მუხ. 30; საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 9, მუხ. 41; № 13, მუხ. 56; 1940 წ. № 6, მუხ. 23; № 22, მუხ. 97) დაემატოს მუხ. 23 შემდეგი შინაარსისა:

**სახსრების წყაროები:**

მუხ. 23. სახსრები, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში შემოდის საექიმო-შრომითი კომისიების მიერ სარეწაო კოოპერაციის წევრთა ფასიანი შემოწმებისათვის.

**სახსრების დანიშნულება:**

საექიმო-შრომის საექსპერტო კომისიების შესანახად და მოსაწყობად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 4 მარტი, № 298.  
თბილისი.

## 57. მთებში მაშველ სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ.

მთებში ჩამონგრევის, თოვლის ზვავის ჩამოწოლის, ნამქერებისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა საშიში შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს ალპინისტურ და ტურისტულ ჯგუფებს, სამეცნიერო ექსპედიციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებსაც მთებში უბედურება შეემთხვათ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიენიჭოს მშრომელთა დეპუტატების თელავის, დუშეთის, ყაზბეგის, ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის და ონის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მაშველი სამუშაოების დროს გამოაცხადონ ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი ბეგარა პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს საქართველოს მარშრუტების რწმუნებულთან არსებული მაშველი სამსახურის განცხადებების თანახმად, მათ შორის მუშა ხელის ტრანსპორტისა და იმ მაშველი იარაღებისა და სახსრებისა, რაც ბეგარის წესით გასაწევით მოეპოებათ და რაც საქიროა ყოველ ცალკე შემთხვევაში.

2. დაწესდეს, რომ მთებში გამაფრთხილებელ და მაშველ სამუშაოებს აწყობენ მშრომელთა დეპუტატების პირველ მუხლში მოხსენებული რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს საქართველოს მარშრუტების რწმუნებულთან არსებული მაშველი სამსახურის უშუალო მონაწილეობით.

შრომითი ბეგარის წესით გაწვეულ პირთა შრომის ანაზღაურება აგრეთვე, ინსტრუმენტების, იარაღებისა და ტრანსპორტის ღირებულების ანაზღაურება ხდება მაშველი სამსახურის სახსრებიდან იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად შრომის ბეგარის შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 16, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28; 1935 წ. № 14, მუხ. 79).

შრომის ბეგარის მოხდაზე უარის თქმა ან მისი შესრულებისათვის თავის არიდება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ზემოაღნიშნული რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს რჩევა მისცენ ხეობების სათავეებში მდებარე კოლმეურნეობებს მოაწყონ სპეციალური ნებაყოფლობითი ბრიგადები, რომლებიც იმოქმედებენ პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს საქართველოს მარშრუტების რწმუნებულთან არსებული მაშველი სამსახურის ხელმძღვანელობით.



4. წინადადება მიეცეს მაღალმთიან ადგილებში მდებარე საწარმოებს (საქანდუზიტი ყაზბეგის რაიონში, მოლიბდენკომბინატი ონის რაიონში, ცანის მეტალურგიული კომბინატი) მოაწყონ საზოგადოებრივი სამთო-მაშველი რაზმები და უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარითა და საქურველით.

5. წინადადება მიეცეს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს საქართველოს მარშ-რუტების რწმუნებულთან არსებულ მაშველ სამსახურს:

ა) გაათავოთოს მაშველი პუნქტების არსებული ქსელი და გახსნას დამატებითი პუნქტები ომალოში (მთა-თუშეთი) და შოგში (ონის რაიონი);

ბ) მოაწყონ პირველი მუხლით გათვალისწინებულ რაიონებში კურსობრივ ღონისძიებათა გატარება იმისათვის, რომ მომზადებულ იქნან მაშველი სამსახურის მუშაკები ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

6. წინადადება მიეცეს სახელგამს მასობრივი ტირაჟით გამოსცეს პოპულარული ბროშურა და პლაკატი მთებში მაშველი სამუშაოების შესახებ.

7. დაწესდეს, რომ ყველა სასპორტო, ალპინისტური და ტურისტული ჯგუფები, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოდიან მწვერვალებზე ასასვლელად და მთებში ლაშქრობის ჩასატარებლად, აგრეთვე ის ჯგუფები, რომლებიც მთებში სხვადასხვაგვარ სამუშაოს ასრულებენ, და ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც უღელტეხილებზე გადადიან, მოვალენი არიან გატარდნენ რეგისტრაციაში და მიიღონ კონსულტაცია პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს საქართველოს მარშრუტების რწმუნებულთან არსებული მაშველი სამსახურის ორგანოებში, როგორც ქ. თბილისში, ისე მაშველი სადგურებისა და პუნქტების მდებარეობის ადგილებში.

8. დაველოს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შემავალი ყველა რაიონისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.



58. 1941 წელს ექსპედიციაში გაგზავნილ მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ არმაზ-მცხეთაში 1941 წელს არქეოლოგიური გათხრებისათვის მივლინებული პირები მიიღებენ:

ა) ბინის კირას „სსრ კავშირის ფარგლებში სასამსახურო მივლინებათა ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივნისის (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 16, მუხ. 387) დადგენილების სრული შესაბამისობით:

ბ) ძირითადი განაკვეთის დამატებას დღიურების ნაცვლად, განაკვეთის 75<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ის რაოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 26 მანეთისა დღე-ღამეში.

2. ამ დადგენილების 1 მუხლით მიღებული ანაზღაურების წესი გაერცვლდეს ყველა პირზე, რომლებსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საქსპედიციო მივლინებაში გზავნის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ხტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 4 მარტი. № 310.

თბილისი.

59. სოფელ ღორეშაში გ. კ. (სერგო) ორჯონიკიძის სახლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) ჩაატაროს სოფელ ღორეშაში იმ სახლის სარესტავრაციო რემონტი რომელშიაც გ. კ. (სერგო) ორჯონიკიძე დაიბადა.

ბ) მიაკრას ამ სახლს მარმარილოს მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით ქართულ და რუსულ ენებზე:

„ამ სახლში 1886 წლის 28 (15) ოქტომბერს დაიბადა და ბავშვობა გაატარა ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილმა მოღვაწემ და სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელმა, ლენინისა და სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძემ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს გახსნას ამ სახლში სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.



3. დაევალოს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს მოაწიოს სახლში სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტებისა და მასალების გამოფენა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოუყოს 1941 წელს ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სოფელ ლორეშაში მდებარე იმ სახლის სარესტავრაციო რემონტისათვის, რომელშიაც ვ. ი. (სერგო) ორჯონიკიძე დაიბადა 9.000 მანეთი და ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტებისა და მასალების გამოფენის მოსაწყობად და გასაფორმებლად—10.000 მანეთი, თანახმად თანდართული ხარჯთაღრიცხვებისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 4 მარტი. № 312.

თბილისი.



---

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

---

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში  
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი, „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 907

ტირაჟი 1.600